ადამიანის უფლებების სამართლის საუნივერსიტეტო კვირეული

2-10 დეკემბერი, 2019

USAID ამერიკელი ხალხისგან

EAST·WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

გერმანიის თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

ღია საზოგადოების ფონდი

ადამიანის უფლებების სამართლის საუნივერსიტეტო კვირეული

2-10 დეკემბერი, 2019

დრო	ღონისძიება
2 დეკემბერი 17:00-20:00	**კვირეულის გახსნა** **კვირეულის ორგანიზატორი უნივერსიტეტებისა და მხარდამჭერი ორგანიზაციების წარმომადგენლები** ***საპანელო დისკუსია*** **საპროტესტო აქციების რეტროსპექტივა** *მომხსენებლები:* ***გიორგი ბურჯანაძე*** *– სახალხო დამცველის მოადგილე* ***შოთა დიღმელაშვილი*** *– მოძრაობა „სირცხვილიას“ აქტივისტი* ***სალომე ბარკერი*** *– მოძრაობა „სირცხვილიას“ აქტივისტი* *მოდერატორი:* ***სოფო ასათიანი*** *– ღია საზოგადოების ფონდი* საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი, გუდიაშვილის ქუჩა №7 **ფურშეტი**
3 დეკემბერი 10:00-12:00	**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** ***სტუდენტური კონფერენცია*** **ადამიანის უფლებათა დაცვა: თეორია და პრაქტიკა** სტუდენტურ კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნება სტუდენტების მოხსენებები ადამიანის უფლებათა აქტუალურ საკითხებზე. გამოვლინდება სტუდენტების საუკეთესო მოხსენებები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, აუდიტორია №06 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1

დრო	ღონისძიება
3 დეკემბერი 12:00-13:00	**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** ***სტატიათა კრებულის წარდგენა*** **ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოს ვალდებულებები** *მომხსენებელი:* ***კონსტანტინე კორკელია*** *– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, აუდიტორია №06 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1 **ფურშეტი**
3 დეკემბერი 13:00-14:30	**გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი** ***საჯარო ლექცია*** **ქვეყნის შიგნით ადგილნაცვალ პირთა სამართლებრივი დაცვის ხელის შემშლელი ფაქტორები** საჯარო ლექციის ფარგლებში ქვეყნის შიგნით გადაადგილების ძირითად გამომწვევ მიზეზებთან ერთად განხილული იქნება, როგორც ადგილნაცვალ პირთა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით მიმართული ძირითადი ტენდენციები, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობისა და ეროვნული მთავრობების მიერ შემუშავებული რიგი სამართლებრივი მექანიზმები *მომხსენებელი:* ***ბაქარ მაცაბერიძე*** *– ა(ა)იპ „სამოქალაქო განათლების ცენტრის“ თავმჯდომარე* გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კამპუსი აუდიტორია №203 თბილისი, ირინა ენუქიძის №3 (აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ)

დრო	ღონისძიება
3 დეკემბერი 15:30-17:30	**ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტი** ***საჯარო ლექცია*** **კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მნიშვნელობა და მექანიზმები იძულებითი სააღსრულებო სამართალწარმოების განხორციელების პროცესში** *მომხსენებლები:* ***თამარ ხუჯაძე*** *– ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი, სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ აღმასრულებელი* ***თამარ ტალახაძე*** *– ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სასამართლოებთან ურთიერთობის უფროსი სპეციალისტი* ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტი, ეკო კამპუსი, აუდიტორია №316 თბილისი, ბოხუას №11
3 დეკემბერი 18:00-20:30	**თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი** ***საჯარო დისკუსია*** **20 ივნისის მოვლენები - დაზარალებულთა ისტორიები და სამართლებრივი ანალიზი** 20 ივნისის მოვლენების შედეგად დაზარალებული პირები მოყვებიან საკუთარ ისტორიებს. ასევე, სამართლებრივ ჭრილში განიხილება ძალის გამოყენების ლეგიტიმურობის და პროპორციულობის საკითხები. პარალელურად უნივერსიტეტში გაიმართება საპროტესტო აქციების ამსახველი ფოტოგამოფენა *მომხსენებლები:* ***ნონა ქურდოვანიძე*** *– საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე* ***გიორგი მშვენიერაძე*** *– საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის თავმჯდომარე* ***ლევან ასათიანი*** *– Amnesty International-ის წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში* თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, კახა ბენდუქიძის კამპუსი, საკონფერენციო დარბაზი №200 თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №240 **ფურშეტი**

დრო	ღონისძიება
4 დეკემბერი 10:00-16:00	**სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი** ***სტუდენტური კონფერენცია*** **ადამიანის უფლებები** კონფერენცია მიზნად ისახავს სტუდენტების კვლევითი საქმიანობის წახალისებასა და ცნობიერების ამაღლებას ადამიანის უფლებების მიმართულებით *კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ ავტორიზებული უნივერსიტეტების სამართლის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, აუდიტორია №405 თბილისი, კ. ქუთათელაძის №3 **ფურშეტი**
4 დეკემბერი 16:00-17:30	**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი** ***საჯარო ლექცია*** ***გამოხატვის თავისუფლება და მედია სამართალი*** ლექცია შეეხება მონაცემთა დაცვას საჯარო უსაფრთხოებისა და სისხლის სამართლის დევნის სფეროში, მონაცემთა დაცვას ტელეკომუნიკაციის სფეროში, აგრეთვე გამოხატვის თავისუფლების თანამედროვე გამოწვევებს *მომხსენებელი:* ***მარიამ გოგოსაშვილი*** *– საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მედია პროექტების კოორდინატორი* საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მე-6 კორპუსი, საჯარო სამართლის ლაბორატორია (907ა) თბილისი, კოსტავას №77

დრო	ღონისძიება

4 დეკემბერი
17:30-20:30

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)

საპანელო დისკუსია

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა და ადამიანის უფლებები - აქტუალური გამოწვევები

პანელ-დისკუსია შეეხება სასამართლო ხელისუფლების სისტემაში ადამიანის უფლებების განხორციელების პრობლემებს. განხილული იქნება ამ სფეროში განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმები (ე.წ. მეოთხე ტალღა), უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცედურები და ე.წ. სამოსამართლო კორპორატივიზმთან (კლანი) ბრძოლის სტრატეგიები

მომხსენებლები:

ანა დოლიძე *– GIPA, ასოცირებული პროფესორი*

ანა ნაცვლიშვილი *– GIPA, პროფესორი*

კახა წიქარიშვილი *– GIPA, პროფესორი*

დავით ჯანდიერი *– GIPA, ასოცირებული პროფესორი*

მოდერატორი:

თინათინ ერქვანია *– GIPA, ასოცირებული პროფესორი*

Frontline Club Georgia
თბილისი, ლ. ასათიანის №62

ფურშეტი

დრო	ღონისძიება
5 დეკემბერი 10:00-12:00	**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი** ***საჯარო დისკუსია*** **დისკრიმინაციის აკრძალვა, როგორც სამართლებრივი პრინციპი და თავისუფლება** *მომხსენებლები:* ***მამუკა შენგელია*** *– აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის დეპარტამენტის პროფესორი* ***დარეჯან სალდაძე*** *– საჯარო სამართლის მაგისტრი, მოწვეული ლექტორი* აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი, აუდიტორია №1231 ქუთაისი, თამარ მეფის №59
5 დეკემბერი 11:00-14:00	**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი** ***საჯარო დისკუსია*** **ადამიანის ძირითადი უფლებების შეზღუდვა საგზაო უსაფრთხოების ჭრილში** ღონისძიებაზე დაგეგმილია საგზაო უსაფრთხოების დაცვის ლეგიტიმური მიზნის და ადამიანის ძირითად უფლებათა ურთიერთმიმართების ანალიზი, არსებული შეზღუდვების და მათი მნიშვნელობის შეფასება. ასევე სიმულატორების გამოყენებით მოხდება საგზაო უსაფრთხოების რეგულაციების მნიშვნელობის დემონსტირება *მომხსენებლები:* ***ირაკლი იზორია*** *– საგზაო უსაფრთხოების ექსპერტი, ორგანიზაცია „Safe-drive - შეიკარი ღვედი სიცოცხლისთვის“* ***დავით მესხიშვილი*** *– ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის თავმჯდომარე* ***დავით გეფერიძე*** *– ასოცირებული პროფესორი* ***ზურაბ ჯიბღაშვილი*** *– ასოცირებული პროფესორი* *მოდერატორი:* ***გოგა კიკილაშვილი*** *– შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის კლინიკის წამყვანი ადვოკატი* შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზი №101 (A კორპუსი) თბილისი, დავით აღმაშენებლის გზატკეცილი №2, მე-13 კმ **ფურშეტი**

დრო	ღონისძიება

5 დეკემბერი
14:30-16:00

თბილისის ღია უნივერსიტეტი

საჯარო დისკუსია

პერსონალური მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

აუდიო/ვიდეო ჩაწერისა და ბიომეტრული მონაცემების დამუშავების საშუალებების სწრაფმა განვითარებამ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში ახალი გამოწვევები შექმნა. საჯარო დისკუსიის ფორმატში ყურადღება გამახვილდება გახმაურებულ საქმეებზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ

მომხსენებელი:

გიორგი გაბრიელაშვილი *– არასამთავრობო ორგანიზაცია „ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის" (IRC) დირექტორი*

თბილისის ღია უნივერსიტეტი, აუდიტორია №106
თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №2

5 დეკემბერი
16:30-18:00

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

საპანელო დისკუსია

იპოთეკის უფლება ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებების კვალდაკვალ

ღონისძიების ფარგლებში მოხდება საპანელო დისკუსიის ფორმატით საკუთრების უფლებასთან, კერძოდ, იპოთეკის უფლებასთან დაკავშირებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზი და დისკუსიის მასალების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ბეჭდურ გამოცემაში.

მომხსენებლები:

თამარ ლაკერბაია *– თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე*
დავით იმნაძე *– ნოტარიუსი*
ვახტანგ ბოხაშვილი *– საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე*

მოდერატორი:

გოგა კიკილაშვილი *– შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის კლინიკის* ხელმძღვანელი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის
საკონფერენციო დარბაზი №101 (A კორპუსი)
თბილისი, დავით აღმაშენებლის გზატკეცილი №2, მე-13 კმ

ფურშეტი

დრო	ღონისძიება

5 დეკემბერი
18:00-20:30

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

საჯარო ლექცია

ბრძოლა უზენაესი სასამართლოსთვის

საჯარო ლექციის ფარგლებში განხილულ იქნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის წესის ფორმირების პროცესი, უშუალოდ შერჩევის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები და არსებული გამოწვევები

მომხსენებლები:

გიორგი მშვენიერაძე *– საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის თავმჯდომარე*

გიორგი ჩიტიძე *– ღია საზოგადოების ფონდის პროგრამის ხელმძღვანელი*

ნაზი ჯანეზაშვილი *– საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი*

მოდერატორი:

დავით ზედელაშვილი *– თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, კახა ბენდუქიძის კამპუსი,
საკონფერენციო დარბაზი №200
თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №240

ფურშეტი

დრო	ღონისძიება
6 დეკემბერი 11:00-13:00	**საქართველოს უნივერსიტეტი** ***საჯარო დისკუსია*** **შრომის თავისუფლება და სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება წარმოდგენილი ცვლილების კვალდაკვალ** *მომხსენებლები:* ***ეგნატე შამუგია*** *– კვლევითი ინსტიტუტის Gnomon Wise-ის მკვლევარი* ***თამარ ქეცბაია*** *– კვლევითი ინსტიტუტის Gnomon Wise-ის მკვლევარი* ***ირინა გურგენაშვილი*** *– კვლევითი ინსტიტუტის Gnomon Wise-ის მკვლევარი* ***დავით ქუტიძე*** *– კვლევითი ინსტიტუტის Gnomon Wise-ის მკვლევარი* საქართველოს უნივერსიტეტი, აუდიტორია №519 თბილისი, კოსტავას №77ა
6 დეკემბერი 12:00-14:00	**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი** ***საჯარო ლექცია*** **ადამიანის უფლებების საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები - გამოწვევები და პერსპექტივები** *მომხსენებელი:* ***ზურაბ კვირკვაია*** *– საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფროსი მრჩეველი; ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი* ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ოთახი №55 ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის №32/35

დრო	ღონისძიება
6 დეკემბერი 13:00-16:00	**გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი** ***სასწავლო-შემეცნებითი ღონისძიება*** **მიუსაფარ ბავშვთა განათლების ხელშეწყობა** უნივერსიტეტს ესტუმრებიან მიუსაფარი ბავშვები. ღონისძიების ფარგლებში იგეგმება სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობები *მომხსენებელი:* ***ანა ფირცხალაშვილი*** *– საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, სამართლის სკოლის პროფესორი* გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კამპუსი, აუდიტორია №203 თბილისი, ირინა ენუქიძის №3 (აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ) **ფურშეტი**
6 დეკემბერი 16:00-17:30	**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი** ***საჯარო ლექცია*** **ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მართლმსაჯულების სისტემა** ლექცია შეეხება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მართლმსაჯულების სისტემას, სასამართლო სისტემის რეფორმას, უვადოდ დასანიშნ მოსამართლეთა შერჩევის პროცესს და მართლმსაჯულების სფეროში არსებულ სხვა მნიშვნელოვან გამოწვევებს *მომხსენებელი:* ***თათული თოდუა*** *– საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო მდივანი* საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მე-6 კორპუსი, საჯარო სამართლის ლაბორატორია (907ა) თბილისი, კოსტავას №77

დრო	ღონისძიება

6 დეკემბერი
19:00-21:00

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფილმის ჩვენება და დისკუსია

Cadillac Dreams

“Cadillac Dreams” მოგვითხრობს, თუ როგორია მოზარდის ცხოვრება საოკუპაციო ხაზით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე, სადაც ადამიანის უფლებები მყიფე მოცემულობაა, ოცნებები კადილაკზე კი - ძალიან შორი. კინოჩვენების შემდეგ მომხსენებლები ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ ისაუბრებენ

მომხსენებლები:

ანა წურწუმია *– პოსტ-საბჭოთა სივრცის კონფლიქტების მკვლევარი*

ლევან ასათიანი *– Amnesty International-ის წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში*

მოდერატორი:
თამარ კაპანაძე *– ილიაუნის ადამიანის უფლებათა კლინიკის იურისტი*

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, A კორპუსი, აუდიტორია A101
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №32

ფურშეტი

დრო	ღონისძიება

7 დეკემბერი
12:00-15:30

საქართველოს უნივერსიტეტი

სამუშაო შეხვედრა

ადამიანის უფლებები ევროპულ სისხლის სამართალში

სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს კონკურსის წესით შერჩეული სამართლის სკოლის 25 სტუდენტი ნებისმიერი უნივერსიტეტიდან

მომხსენებლები:

ბაჩანა ჯიშკარიანი *– საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

ნინო კუცია *– დოქტორანტი, ფოლკსვაგენის ფონდის სტიპენდიანტი*

ხატია თანდილაშვილი *– დოქტორანტი, ფოლკსვაგენის ფონდის სტიპენდიანტი*

საქართველოს უნივერსიტეტი, აუდიტორია №422
თბილისი, კოსტავას №77ა

ფურშეტი

დრო	ღონისძიება
8 დეკემბერი 12:00-15:30	**საქართველოს უნივერსიტეტი** ***სამუშაო შეხვედრა*** **ადამიანის უფლებები ევროპულ სისხლის სამართალში** სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს კონკურსის წესით შერჩეული სამართლის სკოლის 25 სტუდენტი ნებისმიერი უნივერსიტეტიდან *მომხსენებლები:* ***ბაჩანა ჯიშკარიანი*** *– საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი* ***ნინო კუცია*** *– დოქტორანტი, ფოლკსვაგენის ფონდის სტიპენდიანტი* ***ხატია თანდილაშვილი*** *– დოქტორანტი, ფოლკსვაგენის ფონდის სტიპენდიანტი* საქართველოს უნივერსიტეტი, აუდიტორია №422 თბილისი, კოსტავას №77ა **ფურშეტი**
8 დეკემბერი 15:30-17:30	**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი** ***ინტელექტუალური თამაშები სკოლის მოსწავლეებისთვის*** **ადამიანის უფლებათა დაცვის ისტორია და თანამედროვეობა** სხვადასხვა საჯარო და კერძო სკოლის 50 მოსწავლე მონაწილეობას მიიღებს ინტელექტუალურ თამაშებში. გამარჯვებულ გუნდს ფაკულტეტის ადმინისტრაცია დააჯილდოვებს საჩუქრებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მე-6 კორპუსი, საჯარო სამართლის ლაბორატორია (907ა) თბილისი, კოსტავას №77

დრო	ღონისძიება

9 დეკემბერი
11:00-13:30

საქართველოს უნივერსიტეტი

საპანელო დისკუსია

სასამართლოს დამოუკიდებლობა და სამართლიანი სასამართლოს უფლება

სამართლიანი სასამართლოს უფლების კონტექსტში განხილული იქნება საჯაროსამართლებრივი ხასიათის სამართალწარმოების, ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისა და სასამართლო დამოუკიდებლობის საკითხები. ასევე, საუბარი შეეხება მოსამართლის კარიერაში შესვლასა და დამოუკიდებელი სასამართლოს ფორმირებაში იუსტიციის უმაღლესი სკოლის როლს

მომხსენებლები:

მალხაზ ბეგიაშვილი *– საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი*

ლალი ლაზარაშვილი *– საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი წევრი, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი*

ირმა გელაშვილი *– საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი*

ეკა ზარნაძე *– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე, საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

საქართველოს უნივერსიტეტი, აუდიტორია №519
თბილისი, კოსტავას №77ა

დრო	ღონისძიება
9 დეკემბერი 13:30-16:00	**საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ** ***საჯარო დისკუსია*** **სასამართლო ხელისუფლების ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრობლემები** საერთო სასამართლოების ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრობლემები; საკონსტიტუციო სასამართლოს როლი სახელმწიფოს ძირითადი უფლებებით შეზღუდვაში; ძირითადი უფლებების განმარტების მნიშვნელობა სახელმწიფოს ძირითადი უფლებებით შეზღუდვისათვის *მომხსენებლები:* ***ბესიკ ლოლაძე*** *– სამართლის დოქტორი, პროფესორი, სეუ* ***ვერონიკა კუცია*** *– სტუდენტი, სეუ* ***მარიამ ფხოველიშვილი*** *– სტუდენტი, სეუ* საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, საკონფერენციო დარბაზი №3/18 თბილისი, წინანდლის №9 **ფურშეტი**
9 დეკემბერი 16:00-19:00	**კავკასიის უნივერსიტეტი** ***ფილმის ჩვენება და დისკუსია*** **12 განრისხებული მამაკაცი** ადამიანის უფლებათა დაცვის კვირეულის ფარგლებში კავკასიის უნივერსიტეტი უმასპინძლებს ჭავჭავაძის ცენტრის ღონისძიებას პროექტით „ახალგაზრდები მართლმსაჯულებისთვის“ პროექტის ფარგლებში ნაჩვენები იქნება სიდნი ლუმეტის 1957 წლის ფილმი, ყველა იურისტისა და სამოქალაქო აქტივისტის მიერ აუცილებლად სანახავი „12 განრისხებული მამაკაცი“ *მომხსენებლები:* ***ნოდარ ლადარია*** *– მწერალი, დანტეს მთარგმნელი, აღმოსავლეთ-საეკლესიო მეცნიერებათა დოქტორი, ილიაუნის პროფესორი* ***ზაზა ბიბილაშვილი*** *– ჭავჭავაძის ცენტრის დამფუძნებელი, იურისტი და პუბლიცისტი* კავკასიის უნივერსიტეტი, საკონფერენციო დარბაზი თბილისი, პ. სააკაძის №1 **ფურშეტი**

დრო	ღონისძიება
9 დეკემბერი 17:00-18:00	**გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი** ***საჯარო დისკუსია*** **შრომის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები** უნივერსიტეტის ეგიდით გაიმართება საჯარო დისკუსია შრომის კანონმდებლობის აქტუალურ საკითხებთან, მათ შორის საქართველოს შრომის კოდექსში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით *მომხსენებელი:* ***კოტე ერისთავი*** *– გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასისტენტ-პროფესორი, EMC-ის სოციალური პოლიტიკის პროგრამის დირექტორი* გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კამპუსი, აუდიტორია №203 თბილისი, ირინა ენუქიძის №3 (აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ)
9 დეკემბერი 19:00-21:00	**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი** ***საჯარო დისკუსია*** **„არცერთი წელი სიკვდილის შემთხვევათა გარეშე“ – საჯარო დისკუსია შრომის უსაფრთხოებაზე** ღონისძიებაზე განხილული იქნება საქართველოში შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები და დასაქმებულთა უფლებები. მომხსენებელი ასევე ისაუბრებს Human Rights Watch-ის ანგარიშზე: „არცერთი წელი სიკვდილის შემთხვევათა გარეშე – საქართველოში შრომის ბაზრის წლების განმავლობაში დერეგულირება საფრთხეს უქმნის მაღაროელებს“ *მომხსენებელი:* ***გიორგი გოგია*** *– Human Rights Watch-ის ევროპისა და ცენტრალური აზიის განყოფილების ასოცირებული დირექტორი* *მოდერატორი:* ***თამთა აშორტია*** – ილიაუნის სამართლის სკოლის საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, A კორპუსი, აუდიტორია A101 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №32

დრო	ღონისძიება
10 დეკემბერი 10:00-16:00	**სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი** ***სამეცნიერო კონფერენცია*** **რელიგია და ადამიანის უფლებები** კონფერენცია მიზნად ისახავს პროფესორების მოსაზრებების მოსმენას რელიგიისა და ადამიანის უფლებების მიმართ წამოჭრილ პრობლემურ საკითხებზე სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, აუდიტორია №405 თბილისი, კ. ქუთათელაძის №3 **ფურშეტი**
10 დეკემბერი 16:00-18:00	**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი** **ადამიანის უფლებათა გაკვეთილი – სად იწყება ბოლოსდაბოლოს ადამიანის უნივერსალური უფლებები?** ღონისძიება ყოველწლიურად ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღეს ტარდება და სპეციალურად სკოლის მოსწავლეებისთვისაა განკუთვნილი. მისი მიზანია მოზარდებისთვის ადამიანის ძირითადი უფლებების გაცნობა. გაკვეთილს ილიაუნის სამართლის სკოლის სტუდენტები გაუძღვებიან და მოსწავლეები შეძლებენ ჩაერთონ სხვადასხვა უფლების შესახებ დისკუსიაში *მომხსენებლები:* ***ომარ ისაევი, ვიკა დარსალია, მარი დევიძე, ლაშა ოქრუაშვილი, ხატია ცეცხლაძე, ანა ებანოიძე, მარიამ გაბრიჩიძე*** *– ილიაუნის სამართლის სკოლის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები* ***ზურაბ შელია, მარიამ ჯიქია, ცოტნე ხვიჩია*** *– ილიაუნის სამართლის სკოლის სამაგისტრო საფეხურის სტუდენტები* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნის სახლი „ლიგამუსი“ თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №32
10 დეკემბერი 17:30-19:00	**კვირეულის დახურვა** **ადამიანის უფლებათა დამცველის და სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლის დაჯილდოება** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, საკონფერენციო დარბაზის ფოიე თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1 **ფურშეტი**

ადამიანის უფლებების სამართლის საუნივერსიტეტო კვირეული ყოველწლიურად დეკემბრის თვეში იმართება თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ორგანიზებით. მისი მიზანი სტუდენტებსა და ახალგაზრდებში ადამიანის უფლებების პრობლემური საკითხების შესახებ ცოდნის გავრცელება და უნივერსიტეტების თანამშრომლობის გზით ადამიანის უფლებების სამართლის შესახებ იდეათა და მოსაზრებათა აქტიური ურთიერთგაცვლაა.

მონაწილე უნივერსიტეტებს სჯერათ, რომ ერთობ-ლივი ძალისხმევით შესაძლებელია ადამიანის უფლებათა პრობლემური საკითხების შესახებ ფართო საზოგადოებრივი დისკუსია და ქართულ საზოგადოებაში ადამიანის ღირსების, თავისუფლების და კანონის წინაშე თანასწორობის განმტკიცება.

2019 წლის 2-10 დეკემბრის კვირაში, საქართველოს 15 უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ლექტორებისა და სტუდენტების მონაწილეობით, ადამიანის უფლებათა სა-მართლისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართება. ღონისძიებების თემები უნივერსიტეტების მიერ შეირჩა ქართული საზოგადოებისთვის მათი აქტუალობის საფუძველზე.

ადამიანის უფლებების სამართლის
საუნივერსიტეტო კვირეულის მხარდამჭერები არიან:

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების
სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროგრამა „კანონის
უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (EWMI/PROLoG),
გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)
და ღია საზოგადოების ფონდი (OSGF)